ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 მაისი, შაბათი, 1990 წ.
№ 92 (10 261) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ჯუმბერ ცომაია რეკორდსმენთა შორის

„ფაზისის“ გამოსვლას მსოფლიოს გარშემო აფრიანი ნავებით რბოლის („უიტბრედის“) ბოლო ეტაპზე სპეციალისტები ნამდვილ სენსაციად მიიჩნევენ. ფინიშამდე, რომელიც ინგლისის პორტ საუთჰემპტონში უნდა შედგეს, ჯერ კიდევ დიდი მანძილია დარჩენილი, თითქმის ათასი მილი, მაგრამ „ფაზისი“ დაჯერებულად მიიკვლევს გზას მიზნისაკენ და ამჟამად მეექვსე ადგილზე იმყოფება. სპეციალისტთა გაკვირვებას სწორედ ის ფაქტი იწვევს, რომ დებიუტანტი ასე წარმატებით უმკლავდება სტიქიასა და ბრძოლებში მრავალრაცად ჩეტოქეებს.

ახლა „ფაზისზე“ თორმეტკაციანი ეკიპაჟია სოჭელი ვალერი ალექსეევის მეთაურობით. ამერიკელი სკიპნოვაკი, რომელიც ხუთი ეტაპის მანძილზე ჩვენი ნავის კაპიტანი იყო, ფორტ ლოდერდეილში ხმელეთზე ჩამოვიდა და შინ დარჩა. იგი ამთავრებს წიგნს ამ რბოლის შესახებ. „ფაზისის“ ეკიპაჟის სამმა წევრმა ჩვენს პლანეტას წრე შემოუარა. ისინი, სავსებით დამსახურებულად, რეკორდსმენებად ითვლებიან და ცხადია საგანგებო პატივისცემითაც სარგებლობენ. ამ სამეულში შედიან ჯუმბერ ცომაია, ედგარ ტერეხინი და სერგეი სტანეცკი.

ატლანტის ოკეანე რბოლის მონაწილეებს სიურპრიზებს სთავაზობს. თავდაპირველად ყველას აწუხებდა ჰაერის ტემპერატურა, რომელიც ხან პლიუს 10 გრადუსი იყო, ხან 40 გრადუსს მიახლოვებული. ეკიპაჟის წევრებმა ზედმეტი ტვირთი ნაპირზე დატოვეს. ეს საჭირო იყო სისწრაფის გასაძლიერებლად. მაგრამ მაღალ ტემპში რბოლა მთლად უხიფათო როდი გახლავთ. ხშირი ნისლის გამო საკმაოდ გაიზარდა აისბერგებთან შეჯახების შანსი. ამიტომ ეკიპაჟს რთული მანევრირება უხდება.

რამდენიმე ნავი სტიქიასთან ბრძოლაში უკვე დაზარალდა. სტარტიდან სულ მალე უკან დაბრუნდა და „რემონტზე დადგა“ ინგლისის „როტმანსი“, რომელმაც ბოლო ეტაპის წინ 28 ათასდოლარიანი საკონტროლო შემოწმება გაიარა. რბოლა დროზე ადრე დაამთავრა კიდევ ერთმა ინგლისურმა ეკიპაჟმა — „ბრიტიშ დიფენდერმა“.

ამჟამად ლიდერობს ახალზელანდიური „ფიშერი და პაიკელი“, რომელიც მანამდე სულ მეორე ადგილზე იყო. ამ ნავმა უკან ჩამოიტოვა პირველ ხუთ ეტაპზე გამარჯვებული „სტეინლაგერი“ (ისიც ახალი ზელანდიისაა).

ინგლისში „უიტბრედის“ მონაწილეებს დიდი ზარ-ზეიმით ელოდებიან.

„ქართული ფეხბურთი“ № 4

გუშინ გამოვიდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოველკვირეული გაზეთი „ქართული ფეხბურთი“ (რედაქტორი ნოდარ კობერიძე). გულშემატკივრები და მკითხველები მუდამ ინტერესით მოელიან ამ ყოველკვირეულის ახალ ნომერს. მე-4 ნომერში გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ გაზეთი დაუნდობლად ამხელს ყველას, ფეხბურთელი იქნება თუ მაყურებელი, ვინც თავისი საქციელით ჩრდილს აყენებს ეროვნული ჩემპიონატის ღირსებას, გაზეთში ფართოდაა მიმოხილული რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩები, საინტერესოდაა აგრეთვე წარმოდგენილი უცხოეთის ფეხბურთი.

„ქართული ფეხბურთის“ ეს ნომერი გვამცნობს, რომ თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდს ამიერიდან ეწოდა „მერანი“.



თბილისი: „ვერეს“ ხაცურაო კომპლექსი. ამ დღეებში ამ გამორჩეულმა სპორტულმა ბაზამ (დირექტორი ვ. გოიაშვილი) ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებას უმასპინძლა. მარცხნივ — ეკატერინე ახათიანი და მანანა ჩარქსელიანი, რომლებმაც ხინკრონულ ცურვაში სსრ კავშირის პირველობაში III ადგილი დაიკავეს (იხ. მე-4 გვ.).
მეორე სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ალექსანდრე კოტორაშვილისა და ვიქტორ ბუკიას ფოტოები.

ამიერიდან — „იმედი“

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“ უკვე გაუქმებულია, მაგრამ ეს სახელი, თითქოსდა ინერციით, მაინც შემორჩა დიდ სპორტულ კომპლექსს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თბილისისა თუ საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში. და აი, სპორტული კომპლექსის თანამშრომელთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ამ უზარმაზარ ნაგებობას გამოეცვალა სახელი და „ბურევესტნიკის“ ნაცვლად „იმედი“ ეწოდა, სახელი აშკარად ოპტიმისტურია და ჩვენც იმედს გამოვთქვამთ, რომ სპორტული კომპლექსი მომავალში კიდევ უფრო ნაყოფიერად გამოიყენებს თავის მდიდარ შესაძლებლობებს ჩვენი სპორტისა და ჯანმრთელობის სამსახურში.

10.000 მანეთი — ნორჩებს

პატივცემულო რედაქციავ! თქვენი გაზეთის მეშვეობით გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ სიჯანსაღისა და სპორტის საქართველოს რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭოს, რომელმაც, პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმს ავადმყოფ ბავშვთა სარეაბილიტაციო სპორტულ-გამჯანსაღებელი ცენტრის მოსაწყობად და მისი აღჭურვილობის შესაძენად გადმოგვირიცხა 10000 მანეთი.

ზ. კვარაცხელია,

თბილისელები დაწინაურდნენ

ბორი. „იუბილეინის“ სპორტის სასახლეში დაიწყო აკრობატთა [illegible] შორო ჩემპიონატი.

ჯგუფ[illegible] ვარჯიშებში, როგორც მოსალ[illegible]ლი იყო, დაწინაურდნენ თბილისელ[illegible] აკრობატები. ქალთა შორის [illegible]ათამაშებას ლიდერობს საკმაოდ [illegible]ულარული და სახელმოხვეჭილი ტრიო მსოფლიო ჩემპიონების — ნატალია ანისიმოვას, ინგა გიორგობიანისა და ირმა ოვოიანის შემადგენლობით. ამ სამეულმა საკმაოდ მაღალი შეფასება მიიღო — 19,76 ქულა.

ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშებში დაწინაურდნენ თბილისელი აკრობატები ემზარ აბუაშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია და ნიკოლოზ მუჟედლიძე — 19,70 ქულა.

ტურნირის მეორე დღეს დაიწერა პირველი „ათიანი“. ეს უმაღლესი შეფასება მიიღო ხტომებში იაროსლავლელმა ევგენი ივანოვმა, რომელსაც ორი ვარჯიშის შემდეგ 19,90 ქულა აქვს.

გამოიკვეთა ლიდერთა დუეტი ვაჟებთანაც. აქ სხვებზე უკეთესი შედეგები აქვთ მსოფლიო თასის მფლობელებს, კიეველ აკრობატებს გენადი ცერიშენკოსა და იური სეჩენკოვს — 19,86 ქულა.

ჩემპიონატი 20 მაისს დამთავრდება.

გვჭირდება თუ არა თანრიგები?

გამოხმაურება

„ლელოს“ 8 აპრილის ნომერში მკითხველს გავაცანით საქართველოს სპორტსახკომში გამართულ თათბირზე სპეციალისტთა მიერ წამოყენებული წინადადება ჩვენი სპორტსმენებისთვის სხვადასხვა ეროვნული სათანრიგო წოდების მინიჭების შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ ახალი სისტემა, ამჟამად არსებულისგან განსხვავებით, ალტერნატიული უნდა იყოს („საქართველოს ეროვნული სპორტული კლასიფიკაცია და წოდებები“): ვთქვათ სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნაცვლად უნდა შემოვიღოთ ეროვნული ოსტატის წოდება, ასევე პირველთანრიგოსნისა თუ სპორტსმენის უფრო მაღალი კატეგორიის აღმნიშვნელი ეროვნული წოდებები. როდესაც სიახლის დანერგვას აპირებ, მანამდე ძირითადად ორი პირობა უნდა დაიცვა: უნდა დაასაბუთო ძველის უარყოფის აუცილებლობა და ახლის საჭიროება. ჩვენს შემთხვევაში პირველი ამოცანის გადაწყვეტა, ყველასთვის გასაგები მიზეზის გამო, საკმაოდ იოლია, ოღონდ მეორე საკითხთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარად არის: სიახლის დანერგვას, მით უფრო ექსპერიმენტებით, ისედაც უზომოდ გადატვირთულ ჩვენს დროში, ძალიან დიდი დაფიქრება სჭირდება. ოღონდ აქ სინამდვილესაც არ დავივიწყებ — სპეციალისტებმა ხომ ჯერ მხოლოდ წინადადება მოგვაწოდეს და მეც ამ წინადადებას მხოლოდ ჩემი კერძო მოსაზრებით მინდა ვუპასუხო.

თუკი მკითხველი წამოყენებულ წინადადებას ჩაუკვირდება, იოლად დაასკვნის, რომ ის ორი პირობა, რომლებიც ზემოთ ვახსენე (ძველის უარყოფისა და ახლის და-

იხ. მე-2 გვ.

ჰორია თუ მართალი?

მოგრძანდით, გაგვარკვიეთ...

ამას წინათ, ჰოლანდიაში იმყოფებოდა საქართველოს მხედართა დიდი ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის დედოფლის დაბადების დღის აღსანიშნავ ზეიმში.

ჯგუფი [illegible]კარგა ხანია დაბრუნდა თბილისში და მისი წევრების შინ ჩამოსვლის პირველი დღიდანვე გავრცელდა არასასიამოვნო ხმები ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით. რედაქციაშიც გვირეკავენ, გვთხოვენ ვაცნობოთ საზოგადოებას რა არის ჰორი ამ მოარული ხმებიდან და რა არა. სამწუხაროდ, მათ, ვინც ამ ლონისძიებას ხელმძღვანელობდნენ, თავად არ მოაკითხეს გაზეთს. ახლა იძულებული ვართ საჯაროდ მივმართოთ თხოვნით, — გვეწვიონ რედაქციაში და პასუხი გასცენ იმ შეკითხვებზე, რომლებიც უკვე საკმაოდ დაგვგროვდა.

„თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა“

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ჩვეულებრივ თვალშისაცემია ინვალიდთა სიშრავლე; არავის უკვირს ყაყარჯნებსა თუ ჯოხებს დაყრდნობილი, საინვალიდო ეტლებში მსხდომი ადამიანების გამოჩენა კინო-თეატრებში, სტადიონებსა თუ კულტურის კერებში; ყველგან გაკეთებულია სპეციალური კიბეები, ესკალატორები, ლიფტები ინვალიდებისათვის; საზოგადოებრივი ტრანსპორტი აღჭურვილია განსაკუთრებული მოწყობილობით, რათა ინვალიდებს არ გაუჭირდეთ ასვლა და მგზავრობა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს „საბჭოთა სამოთხეში“?..

სანუგეშოს ვერაფერს ვიტყვით... მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის შექმნამდე, საზოგადოებრიობამ არც კი იცოდა საქართველოში მცხოვრებ ინვალიდთა რაოდენობა... თურმე, ორასი ათასამდე ინვალიდი ყოფილა რესპუბლიკაში...

ინვალიდთა ასოციაციის ხელმძღვანელთა — ზაზა სიხარულიძის, თინათინ ჭედიასა თუ სხვათა საგაზეთო პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებში დამჯერებლადაა დასაბუთებული, თუ რა საგებლობა შეუძლიათ მოუტანონ ჩვენს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ინვალიდებმა და მათმა ორგანიზაციებმა.

ინვალიდთა ასოციაციას შემუშავებული აქვს ინვალიდთა ყოველმხრივი რეაბილიტაციის კომპლექსური პროგრამა, რომელიც, ალბათ, მალე მიიღებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სტატუსს.

ამ პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა რესპუბლიკაში საინვალიდო სპორტის სახეობათა დანერგვა-განვითარება.

1990 წ. 6 აპრილს გაიმართა საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია, გაზეთ „ლელოს“ მეშვეობით უკვე საკმაოდ ვრცლად გაშუქდა აღნიშნული კონფერენციის მუშაობა, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, დაწვრილებით გააცნოს თავისი პოზიცია ფართო საზოგადოებრიობას საინვალიდო სპორტის სახეობათა დანერგვა-განვითარებასთან დაკავშირებით.

თუ გვსურს, მივაღწიოთ ინვალიდთა ყოფა-ცხოვრების ცივილიზებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ დონეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვცადოთ ამოვძირკვოთ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ინვალიდთა ცნობიერებაში მკვიდრად ფესვგადგმული ე. წ. „არასრულფასოვნების“ კომპლექსი.

აღნიშნული კომპლექსის დამსხვრევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა საინვალიდო სპორტის სახეობებით ინვალიდთა დაინტერესება.

როცა ა. წ. 9 აპრილს, ეროვნულ სტადიონზე გამართულ მიტინგზე, სარბენ ბილიკებზე დაგვიანებით გამოჩენილ ინვალიდთა ასოციაციის დელეგაციას ხალხი ტაშის გრიალით შეგვეგება, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ როგორ იცვლება ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება თავისი ხეიბარი და-ძმებისადმი.

არ წყდებოდა ტაშის გრიალი, მე კი ჩემთვის ვფიქრობდი, რომ მოვა დრო, როცა ათიათასობით გულშემატკივარი ამგვარივე ოვაციით შეხვდება სარბიელზე გამოსულ ინვალიდ-სპორტსმენებს...

ვიდრე რაიმე პრობლემის პრაქტიკულად მოგვარებას შევუდგებოდეთ, უკეთ უნდა გავეცნოთ საკითხის ისტორიას, სწორედ ამიტომ გვსურს, ორიოდე სიტყვით მიმოვიხილოთ საინვალიდო სპორტის განვითარების ისტორია მსოფლიოში.

პირველად ინვალიდთა სპორტში ჩაბმას შეეცადნენ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. კერძოდ, 1888 წელს, ბერლინში ჩამოყალიბდა სპორტული კლუბი სმენადაქვეითებულთათვის. ამ კატეგორიის ინვალიდთათვის საერთაშორისო შეჯიბრებები რეგულარულად ტარდება 1924 წლიდან.

მოგვიანებით განვითარდა საინვალიდო სპორტის სახეობანი სხვა კატეგორიის ინვალიდებისთვისაც, კერძოდ დოქტორმა ლუდვიგ გუთმანმა (ინგლისი, სთოქ-მენდ ვილის სარეაბილიტაციო ცენტრი) 1944 წლიდან დაიწყო საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანების მქონე ინვალიდების ჩაბმა სპორტულ ცხოვრებაში.

ბოლო ათწლეულებში კი ინვალიდთა სპორტი იმგვარად განვითარდა, რომ ყოველ ოთხ წელიწადში იმართება ინვალიდთა მსოფლიო ოლიმპიადა. ბოლო ოლიმპიადა ჩატარდა სეულში, სადაც შეიკრიბა 4500 ინვალიდ-სპორტსმენი. შეჯიბრებები გაიმართა სპორტის 15 სახეობაში (მძლეოსნობა, ცურვა, ფეხბურთი, კალათბურთი, კეგლი, მაგიდის ჩოგბურთი, ველოსპორტი, მშვილდოსნობა, ტყვიის სროლა და სხვ.).

ამ ღონისძიებას სული ჩაუდგა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ, ნაციონალურმა ფედერაციამ, სახელმწიფო ორგანომ და ბევრმა ინვალიდური სპორტის პრობლემებით დაინტერესებულმა პირმა. ინვალიდთა ოლიმპიურ თამაშებს სეულში საერთაშორისო პრესის 650 წარმომადგენელი აშუქებდა, ხოლო ტრიბუნები სავსე იყო გულშემატკივრებით, როგორც ჩვეულებრივი ოლიმპიადის დროს და ეს ფაქტი ბევრისმთქმელია. გარდა ოლიმპიური თამაშებისა, ინვალიდებისათვის რეგულარულად იმართება კონტინენტალური და მსოფლიო ჩემპიონატები.

ინვალიდთა სპორტული შეჯიბრებების ჩატარება მრავალი სახის სპეციფიკასა და სირთულესთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინვალიდთა კლასიფიკაცია ხდება ხუთ ძირითად (უსინათლო, ყრუ, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დარღვევის მქონე, თავისებური ფსიქიკური განვითარების მქონე, გულსისხლძარღვთა თუ სხვა სნეულებებით დახეიბრებულთა) კატეგორიად. თავის მხრივ, ეს კატეგორიები შეიცავს მრავალ ქვეკატეგორიას.

ამასთან, საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ დღემდე არ არის შემუშავებული ინვალიდთა საერთაშორისო ერთიანი კლასიფიკაცია და, აქედან გამომდინარე, არ არის ჩამოყალიბებული ინვალიდთა სპორტული მოძრაობის წარმართვის ერთიანი მსოფლიო სტრუქტურა.

მიუხედავად იმისა, რომ 1981-1990 წლები გამოცხადდა ინვალიდთა თანადგომის ათწლეულად და ინვალიდთა სპორტული ცხოვრების პრობლემათა მოგვარების საქმეში ჩაება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რის შედეგადაც იგრძნობა გარკვეული სასიკეთო ძვრები, ამ მხრივ ბევრი საკვანძო საკითხი ჯერაც მოუგვარებელია.

საზღვარგარეთ ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებამ იმ დონეს მიაღწია, რომ დღის წესრიგში დგას ინვალიდთა პროფესიონალური სპორტის დამკვიდრების საკითხიც.

ჩვენთან კი ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა მხოლოდ ჩანაფიქრის სტადიაშია. საერთო სავალალო სურათს ვერ შველის საქართველოს უსინათლოთა და სმენადაქვეითებულთა (თვით მსოფლიო მასშტაბის) წარმატებები.

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია თავის უპირველეს ამოცანად თვლის ინვალიდთა მასობრივ ჩაბმას ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში, ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ფედერაცია სავსებით იზიარებს ინვალიდთა ასოციაციის პოზიციას საქართველოს ინვალიდთა მოძრაობის სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით.

ბუნებრივია, საქართველოში მცხოვრებ ინვალიდებს, თავისი ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად ევალებათ ხელი შეუწყონ ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევას.

სწორედ ამიტომ ჩვენი ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რის თანახმადაც ჩვენ უარს ვაცხადებთ ინვალიდთა ანალოგიურ ე. წ. „საკავშირო“ ფედერაციაში გაწევრიანებასა და „საკავშირო“ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე. თუკი ჩვენ დავთანხმდებით ამგვარ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე, ერთის პირობით: ჩვენი სპორტული დელეგაცია წარსდგება როგორც სუვერენული სახელმწიფოს წარმომადგენელი სამფეროვანი ეროვნული დროშით, ეროვნული ჰიმნით თუ სხვა შესაბამისი ატრიბუტიკით. ჩვენი ფედერაცია თავის თავს განიხილავს როგორც სხვა ფედერაციების თანასწორუფლებიან პარტნიორს.

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია თავის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად თვლის, ხელი შეუწყოს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული სუვერენიტეტის მიღწევას. ამ საქმეში მცირე წვლილი მაინც იქნება ჩვენი ფედერაციის უშუალო გაწევრიანება ანალოგიურ საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამ მხრივ პირველ ნაბიჯებს უკვე ვდგამთ. სათანადო შინაარსის წერილები უკვე ეგზავნებათ ინვალიდთა საერთაშორისო ფიზკულტურულ-სპორტულ ფედერაციებს, პარაოლიმპიურ კომიტეტს.

ყოველივე ამასთან ერთად, მიმდინარეობს მზადება საქართველოს ღვთის შვილთა ოლიმპიური იმედის პირველი რესპუბლიკური თამაშების ჩასატარებლად.

გარდა ამისა, ჩვენი ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ მოშზადებულია დებულება ღვთის შვილთა საქალაქო, რაიონული და რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების შესახებ სპორტის სხვადასხვა სახეობაში, კერძოდ, წლევანდელ ზაფხულში დაგეგმილი გვაქვს ჩავატაროთ რესპუბლიკური ჩემპიონატი მკლავიდში ინვალიდთა შორის. ამ ჩემპიონატის სპონსორები იქნებიან ინვალიდთა ასოციაცია და ქ. თბილისის სპორტკომიტეტი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისრაელის საქმიან წრეებთან და ორგანიზაციებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საინვალიდო ეტლების გარბენის მოწყობის შესახებ მარშრუტით „თბილისი — იერუსალიმი“.

რასაკვირველია, საინვალიდო სპორტის დანერგვა-განვითარება რესპუბლიკაში დიდძალ თანხებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ჩვეულებრივი სპორტი. იმედი გვაქვს ამ საქმეში დაგვეხმარებიან სხვადასხვა სპორტული უწყებები და საზოგადოებანი, საწარმოები თუ ცალკეული პირები. ჩვენი სტატიის დასასრულს გვსურს მივმართოთ ჩვენს ინვალიდ ძმებს, ყველას, ვისაც სურს თავისი წვლილი შეიტანოს და მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ფედერაციის საქმიანობაში, შეავსონ და გამოგვიგზავნონ თანდართული ანკეტა. ანკეტების დამუშავების შედეგად ჩვენ ჩამოვაყალიბებთ სექციებს საინვალიდო სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისა და თანამშრომლობისათვის!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გიორგი ძნელაძე,
ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი.

ავტორის თხოვნით მონორარი გადაერიცხება ინვალიდთა ასოციაციის ანგარიშზე: საქართველოს რესპუბლიკური ბინსოცბანკის მთავარი ხაოპერაციო სამმართველო, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია, ანგარიშის № 000700448.

ინვალიდთა და საინვალიდო სპორტით დაინტერესებულ ადამიანთა ნაჯუარადღეგოდ!

მეგობრებო!

ვისაც სურვილი გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის საქმიანობაში, გთხოვთ, შეავსოთ ქვემოთ წარმოდგენილი ანკეტა.

ანკეტის შევსება (ცხადია, სპეციფიკურ პუნქტთა გამოკლებით), შეუძლიათ ჯანმრთელ ადამიანებსაც, თუკი მოწადინებულნი არიან, ხელი შეუწყონ რესპუბლიკაში ინვალიდთა სპორტის სახეობათა დანერგვა-განვითარებას.

გთხოვთ, შევსებული ანკეტა გამოგვიგზავნოთ შემდეგი მისამართით: 380007 — თბილისი, მაჩაბლის 11, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შენობის პირველი სართული, საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაცია.

ცნობებისათვის დაგვირეკეთ ტელეფონით: 93-98-66.

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის წევრის ანკეტა

1. სახელი — — — — — — — — — — — — — — —
2. მამის სახელი — — — — — — — — — — — — — — —
3. გვარი — — — — — — — — — — — — — — —
4. დაბადების წელი — — — — — — — — — — — — — — —
5. ეროვნება — — — — — — — — — — — — — — —
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი — — — — — — — — —
7. ტელეფონი — — — — — — — — — — — — — — —
8. დიაგნოზი — — — — — — — — — — — — — — —
9. ინვალიდობის ჯგუფი — — — — — — — — — — — — —
10. სპორტის რა სახეობებში გსურთ მიიღოთ მონაწილეობა —
11. თუ გაქვთ სპორტული თანრიგი და რომელ სახეობაში — — —
12. თუ გსურთ გახდეთ ფედერაციის წევრი, გთხოვთ დაადასტუროთ ხელის მოწერით — — — — — — — — — — — — — — —

გვჭირდება თუ არა თანრიგები?

(დასასრული)

მკვიდრების შესახებ), ალტერნატიული კი არ არის, უფრო ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ამიტომ მეც ორივეზე ვი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

X ტური

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 3:1 (2:0)

წყალტუბო. ცენტრალური სტადიონი. 15 მაისი.

„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი, წიქარიშვილი, ბერაძე, ვ. ფესტვენიძე, რ. იობიძე, ცნობილაძე (ვ. იობიძე), კერესელიძე (იოანანიძე), ლ. ფესტვენიძე (გოგელიძე), ჩხაბრიძე, ხარაბაძე.

„ლიახვი“: სანაკოევი, მიხაილოვი, ცანნიაშვილი (ქოქოევი), მარგიევი, ვ. ჯიოევი (ი. გობოზოვი), გასიევი, დოგუზოვი, ვ. გობოზოვი (ზვიადგინცევი), ვ. ხუბეჯიშვილი, ბ. ხუბეჯიშვილი, ა. ჯიოევი.

მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ნ. კახიანი (სამტრედია), ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

გოლები: კერესელიძე-2, ვ. ფესტვენიძე, მარგიევი.

ეს მატჩი მასპინძელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით მიმდინარეობდა, სტუმრები მხოლოდ კონტრშეტევების მეშვეობით ცდილობდნენ მიეღწიათ საწადელისათვის, მაგრამ წყალტუბოელთა მცველებმა და მეკარემ ყველაფერი გააკეთეს თავიანთი კარის უვნებელსაყოფად.

პირველი გოლი „სამგურალმა“ გაიტანა. მიმდინარეობდა მე-17 წუთი, წიქარიშვილმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა ბურთი მეტოქეს საჯარიმოში, რომელსაც ადგილზე დახვდა კერესელიძე და ზუსტად დაარტყა თავით. მანამდე კი კერესელიძემ (მე-7 წუთზე) ანალოგიური სიტუაცია ვერ გამოიყენა. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს — ხარაბაძე—კერესელიძის კომბინაცია თვით კერესელიძემ დაგვირგვინა გოლით.

28-ე წუთზე „ლიახვსაც“ ჰქონდა კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ ვ. ხუბეჯიშვილის დარტყმა ძელმა მოიგერია.

61-ე წუთზე გოლის გატანის შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა ფესტვენიძეს, თუმცა 10 წუთის შემდეგ მან მაინც შესძლო ზუსტად თამაში — საჯარიმო მოედნის ხაზიდან გაიტანა ლამაზი გოლი — 3:0. ერთადერთი ბურთი ცხინვალელებმა 82-ე წუთზე გაქვითეს (მარგიევი). სტუმრებმა ვერც ამჯერად მიაღწიეს საწადელს (გუნდს ჯერჯერობით არც ერთი ქულა არ აუღია), მასპინძლებმა კი ამ გამარჯვებით ორი საფეხურით წინ წაიწიეს.

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „გორდა“ (რუსთავი) 1:2 (0:0)

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 15 მაისი.

„ოდიში“: ჭანტურია, კვიტატიანი, მაჭაცარია (სართანია), თუთბერიძე, ჯავაშვილი, ნადარეიშვილი, მალანია, ბიგვავა, შეროზია, თევზაძე (ტიბუა), აფაქიძე.

„გორდა“: მეჯოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე, მეტრეველი (კილასონია), ა. კაპანაძე, ფანცულაია, წიკლაური (მიქაშავიძე).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ზ. ჯინჭარაძე, ა. კიკაბიძე (ოზურგეთი).

გოლები: ტიბუა, ფანცულაია-2.

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ჯერ გაფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს მ. აფციაური.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

● რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში ჩატარებულია 10 ტური. სულ დღეშდე გატანილია 220 ბურთი, აქედან მასპინძლებმა შეაგდეს 147, ხოლო სტუმრებმა — 73.

● განვლილ მე-10 ტურში მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა 5 შეხვედრა. 2 მატჩში წარმატებით ითამაშეს სტუმრებმა, ხოლო 2 შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

● 25 ქულით ჩემპიონატს სათავეში რუსთავის „გორდა“ მოექცა. აღსანიშნავია, რომ რუსთაველმა ფეხბურთელებმა ბოლო 8 მატჩიდან ყველა მოიგეს, აქედან 3 შინ და 5 სტუმრად.

● ყველაზე დიდი ანგარიში აღინიშნა ხობში, სადაც „კოლხეთმა“ სძლია ხაშურის „ივერიას“ — 5:0.

● ბომბარდირთა დავაში დაწინაურდნენ მ. ფანცულაია („გორდა“) და ო. კორღალიძე („გურია“), მათ ანგარიშზე 8-8 გატანილი ბურთია.

ერთი ბურთით ნაკლები აქვს შეგდებული გ. გურულს („იბერია“).

● მეათე ტურის მატჩში ზუგდიდში, სადაც „ოდიში“ რუსთავის „გორდას“ მასპინძლობდა, მსაჯმა წითელი ბარათი აჩვენა მ. აფციაურს („გორდა“). ეს ფეხბურთელს პირველი გაძევებაა მინდვრიდან რესპუბლიკის წლევანდელ საფეხბურთო ჩემპიონატში.

● სამტრედიის „სანავარდოს“ კარის დარაჯმა ი. თოდაძემ მიმდინარე ჩემპიონატში მეორე 11-მეტრიანი დარტყმა მოიგერია, ბოლო ტურის მატჩში მან ბარათაშვილის („გურია“) პენალტი აიღო.

● მორიგი ტურის თამაშები გაიმართება კვირას, 20 მაისს. ერთმანეთს ხვდებიან „გურია“ — „სამგურალი“, „ბათუმი“ — „სანავარდო“, „იბერია“ — „მერცხალი“, „მზიური“ — „ქუთაისი“, „ივერია“ — „ცხუმი“, „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „კოლხეთი“ (ხობი), „გორდა“ — „შევარდენი-1906“ (თბილისი), „დილა“ — „ოდიში“, „ლიახვი“ — „ამირანი“.

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი X ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის:

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „იმერეთი“ (ხონი) 2:3, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:1, „დინამო“ (გაგრა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:2, „სულორი“ (ვანი) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 2:0, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სიონი“ (ბოლნისი) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1:4.

მეათე ტურის ორი შეხვედრა კახეთის „თელავსა“ და გორის რაიონის „ქართლს“ შორის, ასევე წალენჯიხის „სქურსა“ და მცხეთის „არმაზს“ შორის გადატანილია.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 მაისისთვის.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ალაზანი“ (გურჯაანი)	10	8	1	1	19-6	25
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	10	8	0	2	20-9	24
„დინამო“ (გაგრა)	10	6	2	2	22-9	20
„სულორი“ (ვანი)	10	6	1	3	11-8	19
„იმერეთი“ (ხონი)	10	6	1	3	14-12	19
„არაგვი“ (დუშეთი)	10	5	2	3	13-9	17
„სიონი“ (ბოლნისი)	10	5	2	3	14-11	17
ფიზკ. ინსტ.	10	4	2	4	8-11	14
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	10	4	2	4	11-17	14
„არმაზი“ (მცხეთა)	9	4	1	4	13-16	13
სტუ	10	4	0	6	16-20	12
„კახეთი“ (თელავი)	9	3	2	4	12-12	11
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	10	2	5	3	10-10	11
„სქური“ (წალენჯიხა)	9	3	1	5	14-15	10
„შუქურა“ (ქობულეთი)	10	2	4	4	11-15	10
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	9	3	0	6	12-10	9
„ჩიხურა“ (საჩხერე)	10	3	0	7	9-20	9
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	10	2	3	5	12-19	9
„დურუჯი“ (ყვარელი)	10	2	2	6	5-11	8
„საპოვნელა“ (თერჯოლა)	10	2	1	7	10-16	7

საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში



ახლახან ქუთაისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ორი მატჩი. 14 მაისს VI ტურის მატჩში „გელათმა“ სძლია „წყალტუბოს სათაფლიას“ — 15:10.

მეორე დღეს „აიამ“ უმასპინძლა თბილისის „მიმინოს“ და დაამარცხა ანგარიშით 20:10 (ეს გახლდათ II ტურის გამოტოვებული მატჩი).

დღეისათვის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

„ა“ ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	დ.	წ.	ქ.
„აია“	6	6	0	0	0	24
„მიმინო“	6	4	0	1	1	17
სტუ	7	3	0	2	2	14
„იმერეთი“	6	2	1	1	2	11
„აკადემია“	6	1	1	2	2	8
„შევარდენი“	5	1	0	2	2	6

„ბ“ ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	დ.	წ.	ქ.
„გელათი“	6	4	0	1	1	17
„ასოციაცია“	6	4	0	0	2	16
„ელმავალი“	3	3	0	0	0	12
„ზოოვეტი“	4	2	0	0	2	8
თსუ	4	1	0	1	2	5
„სათაფლია“	5	0	0	3	2	3

დღეს „ზოოვეტი“ ვარკეთილში უმასპინძლებს „ელმავალს“, ხვალ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე „შევარდენი“ მიიღებს „აკადემიას“, წყალტუბოში ითამაშებენ „სათაფლია“ და „ასოციაცია“, ქუთაისში — „აია“ — „იმერეთი“ (ჭიათურა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული სახეობების ასაღორძინებლად

ქუთაისელები მაგალითს იძლევიან

უკანასკნელ ხანს ქუთაისში მრავალი საინტერესო მასობრივი-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება გაიმართა, რომელთაც მოსახლეობის დიდი მოწონება დაიმსახურეს.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ახლახანს ჩატარებულმა ქუთაისის საქალაქო სპარტაკიადამ სპორტის ეროვნულ სახეობებში, რომლის თაოსანი იყო ქუთაისის საქალაქო სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე დ. ფრუიძე). ორგანიზატორთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინება და მათი შემდგომი პოპულარიზაცია. სპარტაკიადის პროგრამაში იყო ქართული ჭიდაობა, ლელობურთი, მკლავჭიდი, რიკტაფელა, ლაზტი და ჭოკით ხტომა. შეჯიბრების მონაწილეებს საასპარეზოდ დაეთმოთ ქალაქის საუკეთესო სპორტული ბაზები.

მრავალდღიანი საინტერესო ასპარეზობის შემდეგ გაიმარჯვა ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (სპორტკლუბის თავმჯდომარე გ. ხვინძიაშვილი), მეორე ადგილზეა ავტომექანიკური ტექნიკუმის ნაკრები (უფროსი მასწავლებელი რ. ანვლედიანი), მესამეზე — ივ. წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი (სპორტული კლუბის თავმჯდომარე რ. ჭობულაძე).

გამარჯვებულებს გადაეცათ ქუთაისის საქალაქო სპორტკომიტეტის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოები.

ჯ. ქვიციანი.

სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

I ლიგა

„დინამო“ (ხოხუმი) — „ტირასი“ (ტირასპოლი) 0:0

ხოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 16 მაისი.

„დინამო“: ოვჩინიკოვი, ბონდარუკი, საბიტოვი, თ. ლოგუა (ტუკანინ), დობაშინი, ენიკი, ბესტაევი (ბუბანი), ახვლედიანი, სმირნოვი, ხალიგავა, ხაგბა.

„ტირასი“: კარმაკი, ვერიოვკინი, ოვჩარენკო, მანდრიჩენკო, შულაევი, სახტროენკო, ლემეშკო, ვასილიევი, ბარიშევი (ა. სტროენკო), ტუმინი, ნაუმენკო (გრინი). მსაჯი ა. არანოვსკი (ხარკოვი).

ამ დღეს „დინამოს“ რიგებში პირველად გამოვიდნენ მოწვეული ფეხბურთელები ა. სმირნოვი, რ. ხალიგავა, ბესტაევი, ენიკი ...

„ოლიმპია“ (ბოლნისი) — „ალაზანი“ (ყვარელი) 1:0

ბოლნისი. ცენტრალური სტადიონი. 15 მაისი.

„ოლიმპია“: ...

„ალაზანი“: ...

მსაჯი ...

„ბორბალა“ (ფოთი) — „ბორჯომი“ (ბორჯომი) 0:0

ფოთი. ...

„ბორბალა“: ...

**„ბორჯომ

ექვსეულს... ხუთიანი

ამ გოგონას, თბილისელ ელენა კულიბერდაძ (მწვრთნელი ი. წიკლაური) სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

თბილისის საცურაო კომპლექს „ვერეში“ დამთავრდა ქვეყნის პირადი პირველობა სინქრონულ ცურვაში გოგონათა შორის (1973 წელსა და გვიან დაბადებულნი). შეიძლება ითქვას, კონკურენციის გარეშე იყვნენ მოსკოვის გუნდები — „შრომითი რეზერვებისა“ და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების. სწორედ ისინი გავიდნენ შესაბამისად პირველ და მეორე ადგილებზე.

მესამე ადგილზე, სპეციალისტებისათვის ერთობ მოულოდნელად, აღმოჩნდა საქართველოს გუნდი „შევარდენი“. მან, მართლაც, თვითმყოფადი ეროვნული სტილი აჩვენა. აი, ჩვენი გუნდის შემადგენლობა: მანანა ჩარქსელიანი, ეკატერინე ასათიანი, ირინე ტარუაშვილი, ტატიანა მენაბდე, მაია მელაძე, ლიკა მიქელაძე.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდა მ. ჩარქსელიანისა და ე. ასათიანის „დუეტი“, რომელმაც „ბრინჯაო“ დაიმსახურა. ჩვენს გუნდს ენერგიულად ქომაგობდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების წევრები, რომლებიც ორკვირიან ერთობლივ შეკრებაზე იყვნენ თბილისში.

საუკეთესო სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს, მსაჯებს, სპორტკომპლექს „ვერეს“ თანამშრომლებს გადაეცათ ორიგინალური პრიზები და სუვენირები, რომლებიც შეჯიბრების სპონსორმა — თბილისის კოოპერატივმა „ოპიზარმა“ (თავმჯდომარე ვაჟა გაგოშიძე) დაამზადა. გახსოვთ, ალბათ, რომ ამავე კოოპერატივმა თავისი დიდებული ნაწარმით გამოიჩინა თავი მიხეილ მესხის ტურნირზეც.

ახლა ჩვენი უძლიერესი ოსტატები მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის ჩემპიონატში, რომელიც 23-27 მაისს გაიმართება ლენინგრადში.

ვიქტორ ბუკია.

ავტორის ფოტოები.

სურათი სამახსოვროდ: კორეისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

ისევ ლეილა მესხი და ისევ შტეფი გრაფი

დასავლეთ ბერლინი. სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ თბილისელ ჩოგბურთელს ლეილა მესხს ფატალურად არ სწყალობს ბედი. აქ მიმდინარე დიდი საერთაშორისო ტურნირის სამი წრე ჩვენმა თანამემამულემ ბრწყინვალედ განვლო. გახსოვთ ალბათ, რომ პირველ წრეში მესხმა ფაქტიურად გაანადგურა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი ამანდა კოტცერი (6:0, 6:0). ლეილა მეორე წრეშიც ჩინებულად თამაშობდა და საკმაოდ დიდი უპირატესობით (6:1, 6:1) აჯობა ჩეხოსლოვაკიელ რეგინა რაიხრტოვას.

ცხადია, ყოველი ახალი წრის შემდეგ ტურნირი იცხრილება და ბრძოლის გაგრძელების უფლებას უძლიერესები ინარჩუნებენ. ასე რომ, მესამე წრეში მესხის მეტოქე რანგით უფრო მაღალი ჩოგბურთელი უნდა ყოფილიყო. და მართლაც, ამჯერად მას საკმაოდ ცნობილ ბულგარელთან კატერინა მალეევასთან მოუხდა ბრძოლა. პირველი პარტია მესხმა წააგო — 4:6. მეორესა და მესამეში კი ჩვეული ოსტატობით ითამაშა და ძლიერ „ოპონენტს“ ფაქტიურად წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა — 6:2 და 6:0.

და აი აქ, უკვე მერამდენჯერ, ლეილა მესხს უმტყუნა ბედმა. კენესყრით მისი მომდევნო მეტოქე უნდა იყოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი. რა თქმა უნდა, როცა წარმატებაზე ფიქრობ, ადრე თუ გვიან, უძლიერესებსაც უნდა შეხვდე, მაგრამ უმჯობესია ეს მოხდეს გვიან, სადღაც ბრძოლის გადამწყვეტ სტადიაში. უკვე დავკარგეთ ანგარიში მერამდენედ ხვდება მესხი შტეფი გრაფს (ან მარტინა ნავრატილოვას) ასეთ „უდროო დროს“. მაგრამ სპორტი სპორტია და ქართველმა ჩოგბურთელმა წლევანდელ სეზონში თავისი მზარდი ოსტატობა უკვე დაამტკიცა. ასე რომ, შტეფი გრაფთან შეხვედრის შედეგმა გული დიდად არ უნდა დაგვწყვიტოს, თუ მაცა...

დასავლეთ ბერლინის ტურნირს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს და მასში ნებისმიერი წარმატება საპატიოა. ბრძოლას შტეფი გრაფთან და ლეილა მესხთან ერთად განაგრძობენ მეორე ნომრად განთესილი, 16 წლის იუგოსლავიელი მონიკა სელეში, არგენტინელი გაბრიელა საბატინი, ამერიკელი მერი ფერნანდესი, სხვები და სხვები.

მესამე წრეში მორიგი გამარჯვება მოიპოვეს მინსკელმა ნატალია ზვერევამ და ლვოველმა ლარისა სავჩენკომაც. პირველმა ჩეხოსლოვაკიელი რადკა ზრუბაკოვა დაამარცხა (7:5, 6:1), მეორემ — ავსტრიელი ჩოგბურთელი ჰანა მანდლიკოვა (6:3, 6:0).

უკანასკნელ საათს!

მოვიდა ცნობა პირველი სენსაციის შესახებ. გაბრიელა საბატინი დამარცხდა ნაკლებადცნობილ იტალიელ სანდრა ჩეკინისთან (4:6; 6:3, 4:6) და გამოეთიშა ტურნირს. ტურნირს გამოეთიშა ლარისა სავჩენკოც ესპანელ კონჩიტა მარტინესთან დამარცხების შემდეგ. მეოთხედფინალში ნატალია ზვერევას მეტოქე იქნება ავსტრიელი იუდიტ ვიზნერი.

ჰიპატიკა და ერგ შეგზნ

„მართვეს“ რესპუბლიკურმა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა ბულგარეთის ქალაქ ხტროპოლში გამართულ კლასიკური სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც „მართვე“ პერსონალურად იყო მიწვეული. გუნდურ ჩათვლაში იგი მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩა.

პირად პირველობაში ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა კობა ჭიჭვეიშვილმა (81 კგ). გოჩა შენგელია (68 კგ) მეორე ადგილზე გავიდა, ხვიჩა მეფარიშვილი (115 კგ) — მესამეზე.

თეიმურ უაზარაშვილი.



ფელეტონი - ეკიმისველ



რომი. იტალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის მესამე წრეში არგენტინელმა ალბერტო მანჩინიმ დაამარცხა ამერიკელი ბრედ ჯილბერტი (6:2, 6:1) და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ანდრეი ჩესნოკოვს შეხვდება (ამ უკანასკნელმა აჯობა მეორე ამერიკელს ჭეკ კურიეს — 4:6, 7:6, 6:3).

ოლბორგი (დანია). ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატში წარმატება მოიპოვა აშხაბადელმა ალტმურად ორაზდურდიევმა — ოქროს მედალი ხვდა 82,5კგ წონით კატეგორიაში — 377,5 კგ. ეს საბჭოთა ძალოსნების მეორე უმაღლესი ჯილდოა. პირველი კი მიიღო 75 კგ წონაში მოსპარეზე ვლადიმერ კუზნეცოვმა (კრასნოდარი).

ვარშავა. მშვიდობის 43-ე ველორბოლა 21 წლის ჩეხოსლოვაკიელმა იან სვორადამ მოიგო — 37:30.60. საბჭოთა ველოსიპედისტებმა ასპარეზობა ასეთი შედეგებით დაამთავრეს: კირილ ბელიაევი (მე-17 ადგილი), პაველ ტონკოვი (24-ე), ოლეგ პოლოვნიკოვი (26-ე), ოლეგ ჩუდა (34-ე), ვლადიმერ გოდუშკო (63-ე). გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელებმა მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გდრ-ის, პოლონეთის, საფრანგეთის, გფრ-ისა და საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტები.

გამორჩეული შვიდეული

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს ოლიმპიური რინგის კრივის სპორტსკოლის ათი წარმომადგენელი იცავდა ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაღესტნის ქალაქ იზბერბას რინგზე. აქ გაიმართა საკავშირო პროფკავშირული პირველობა ოლიმპიური რეზერვის კრივის სპორტსკოლებს შორის (1974-1975 წლებში დაბადებულნი).

შვიდმა ჩვენმა მოკრივემ წარმატებით გაართვა თავი ამ შეჯიბრებას. პირველი ადგილები მოიპოვეს: ორესტ სარიდიმ (44 კგ., თბილისი), ლევან ჯალაღანიამ (56 კგ., ფოთი), ვადიმ კოკოევმა (74 კგ) და იგორ ძაგოევმა (79 კგ) — ორივე ცხინვალი. მეორე ადგილზე გავიდა ფოთელი პაატა ლომია (60 კგ), ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მესტიელებმა დავით ქურდიანმა (54 კგ) და ლაშა იოსელიანმა (52 კგ).

შეჯიბრებისთვის გუნდი მომზადეს უფროსმა მწვრთნელმა დავით ქავთარაძემ, მწვრთნელებმა ჯამბოლ კოკოევმა, გუმბათ ასლანოვმა და ვიტალი საპელკომ.

„ლელოს“ კორ.

ინფორმაცია

ინგლისის „ლივერპულის“ ცნობილი ფეხბურთელი, 26 წლის ფორვარდი ჯონ ბარნსი ზედიზედ მეორე წელია მიიჩნიეს ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად.

ინგლისში ეს უბრალო საქმე არაა. ამ ქვეყნის ფეხბურთის ისტორიის შანძილზე საუკეთესო ფეხბურთელად ზედიზედ ორჯერ აღიარეს მხოლოდ სტენლი მეტიუზი, ტომი ფინეი, დანი ბლენჩფლაუერი და კენი დალგლიში.

პროფესიული კალათბურთის ამბები

დასავლეთის კონფედერაცია

(შუა დასავლეთის დივიზიონი)

ამერიკელი ჟურნალისტის ბარი ჟანვის ვრცელი საკალათბურთო მიმოხილვა მთავრდება შუა დასავლეთის დივიზიონის გუნდების თამაშების ანალიზით.

1. „იუტა ჯაზი“. „ამ გუნდში კვლავ მშვენივრად არიან შეთამაშებული ჯონ სტოკტონი და კარლ მელოუნი. ძველებურად კარგად თამაშობს მარკ იტონი. იგი მეტოქის იერიშების ჩაფუშვის ოსტატია. ამ სამეულს კარგი თამაშის შედეგად „იუტა ჯაზმა“ შარშან მოიპოვა დივიზიონის ჩემპიონობა, მაგრამ „პლეი-ოფის“ პირველსავე ეტაპზე მარცხი იწვნია „გოლდენ სტეიტ უორიორზთან“ შეხვედრაში. მწვრთნელი ჯერი სლოუნი ირწმუნება, რომ მის გუნდს შესწევს უნარი „ტახტიდან ჩამოგდებული“ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ადგილიც კი დაიკავოს. ამის დასამტკიცებლად სეზონის ბოლომდე კიდევ აქვს დრო“.

2. „ჰიუსტონ როკეტსი“. „ეს გუნდი შეიძლება დივიზიონის ჩემპიონი ვერ გახდეს, მაგრამ მოთამაშეთა შერჩეული მეტსახელების მხრივ მას ბადალი არა ჰყავს. აკიმ ოლეიჯონი — „მეოცნებე“, ერიკ ფლოიდი — „ძილის გუდა“, უოლტერ ბერი — „ალალი“ და ახალმოსული ლარი სმითი— „მორცხვი“. გუნდს ძალზე ძლიერი ცენტრები ჰყავს: აკიმ ოლეიჯონი, ოტის თორპი, ლარი სმითი. მართლაც საინტერესოა რა მოხდება სეზონის ბოლომდე. ეს გუნდი აჩვენებს თუ არა მისთვის დამახასიათებელ ბრწყინვალე თამაშს, თუ მისი წევრების მეტსახელების შესაფერის სასოწარკვეთას მიეცემა.“.

3. „დალას მავერიქსი“. „გუნდს 1982-83 წლის სეზონის შემდეგ არ ჰქონია ასეთი ცუდი შედეგი (38 მოგება, 44 წაგება). დალასელები „პლეი-ოფის“ სერიის მიღმა დარჩნენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გუნდის ხელმძღვანელობაში ყველაფერი ვერაა რიგზე. დალასელთა მწვრთნელი ჯონ მაკლეოდი მესამე სეზონია გუნდშია. შარშან მას სხვა კლუბი იწვევდა, მაგრამ მან დალასში დარჩენა ამჯობინა. თუ ასეთი უხეირო სეზონი კვლავ განმეორდა, ალბათ, გუნდის დატოვება მოუწევს“.

4. „სან-ანტონიო სპურსი“. „ლარი ბრაუნმა, შარშან სათავეში რომ ჩაუდგა გუნდს, გულშემატკივრებთან შეხვედრაზე განაცხადა: „გუნდი მძიმე მდგომარეობაშია და ამ სეზონში საიმედოს ვერაფერს შეგპირდებითო“. ეს სიტყვები გამართლდა. გუნდმა მხოლოდ 28 თამაში მოიგო და კონფედერაციაში ბოლოდან მეორე ადგილზე აღმოჩნდა, წელს სტუდენტური კალათბურთიდან მოსული დეივიდ რობინსონის და სილ ელიოტის წყალობით, აგრეთვე უილიამ ანდერსონის და ტერი კამინგსის კარგი თამაშის შედეგად, გუნდი ჯერჯერობით ცუდად არ გამოიყურება, თუ მან ასე გაგრძელა შემდგომი სეზონისათვის, სან-ანტონიოს, ალბათ, დივიზიონის ლიდერთა შორის ვიხილავთ“.

5. „დენვერ ნაგეთსი“. „დაგ მოეს გუნდი წინა სეზონის მიხედვით საუცხოოდ გამოიყურებოდა თავდასხმაში (საშუალოდ 118 ქულა მატჩში), მაგრამ მისი დაცვა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. შედეგიც შესაბამისია (116,9 საშუალოდ მატჩში). გუნდს ახალი მვატრონე ჰყავს, ბიზნესმენი ბერტრამ ლი. მას და გუნდის სხვა ხელმძღვანელებს არ შეიძლება გულით არ სურდეთ დენვერის წარმატებების ხილვა „პლეი-ოფის“ სერიის მატჩებში, პირველ რაუნდში მაინც, საიდანაც იგი შარშან „ფენიქს სანზმა“ გამოაძევა. გუნდის შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა. მოთამაშეები თამაშის კლასს იმაღლებდნენ. თუ გავითვალისწინებთ „სან-ანტონიო სპურსის“ მისამართით ნათქვამს, ამ ორი გუნდის პაექრობა „პლეი-ოფის“ მატჩებში ბევრ საინტერესოს გვპირდება კალათბურთის თაყვანისმცემლებს“.

6. „ჩარლოტ ჰორნეტსი“. „გუნდის ხელმძღვანელობა ბედნიერი იყო შარშან მიღწეული შედეგით, მაგრამ, ალბათ, იგი უფრო ბედნიერი იქნება, თუკი გუნდი დივიზიონში ცოტათი ზემოთაც აიწევს. ეს კი ადვილი მოსალოდნელია, რადგან მას სეზონის წინ ურიგო შევსება არ მიუღია. ესაა „დრაფთ ჩოისში“ აყვანილი ჯ. რ. რიდი სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდიდან. თანაც „ჰორნეტსი“ ახლა შუა დასავლეთის დივიზიონში გამოდის, სადაც „მინესოტა ტიმბერუოლფიც“ თამაშობს. არა და სულ 30 მატჩის მოგებაც დიდი წარმატება იქნებოდა „ჩარლოტ ჰორნეტსისათვის“, რომელიც სულ მეორე წელია, რაც კალათბურთის ეროვნული ასოციაციის შემადგენლობაშია“.

7. „მინესოტა ტიმბერუოლფი“. „იგი ნბა-ს დებიუტანტია. მისი მწვრთნელია ბილ მუსელმანი. გუნდმა სოლიდური შევსება მიიღო სტუდენტური კალათბურთიდან ჰოუ რიჩარდსონის სახით, რომელიც, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო მცველი დადგება. მთავარ ძალად კი გვევლინება რიკ მაპორნი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონ „დეტროიტ პისტონსიდან“ გადმოვიდა“.

მასალა მოამზადეს
ვერაბ კალანდაძემ,
ავთანდილ მალრაძემ.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის 26 მაისის სახელობის (ყოფილი „ლოკომოტივის“) სტადიონზე, ვაკეში, 20 მაისს საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. მონაწილეობენ საქართველოს ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების გუნდები.

დასაწყისი 16 საათზე.

საზეიმო გახსნის შემდეგ შედგება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის (II ჯგუფის ცენტრალური ქვეჯგუფი) გუნდების კალენდარული მატჩი:

„მერანი“ (ყოფილი „ლოკომოტივი“ თბილისი) — **„მამისონი“** (ონი)

დასაწყისი 17 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „მერანი“ — 93-97-29, „მართვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380008, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. 14, ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარიულის, 20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779